პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

29 იანვარი სამშაბათი 1974 წელი 2 ფაფ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 24 (15845)

**1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საქართველოს სსრ, აბრეთვე აფხაზეთის ასსრ და მოწინავე საწარმოები წითელი დროშებით დაჯილდოვდნენ.**

*მოგილოცავთ ამ წარმატებას, ძვირფასო მეგობრებო!*

# ჯილდო და მოვალეობა

ბასული წელი პარტიამ განსაზღვრა როგორც მეცხრე ხუთწლედის გადამწყვეტი წელი. იგი გახდა ნამდვილად დამკვრელური შრომის — საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრების წელიწადი.

სოციალისტური შეჯიბრების მძლავრ ნაკადში იშვა ახალი შესანიშნავი თაოსნობანი, თავი ისახელა ათასობით შრომის დამკვრელმა და გმირმა.

როგორც იუწყებოდა ჩვენი პრესა სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები.

როგორია ეს შედეგები? სამრეწველო პროდუქციის მოცულობა წლიური დავალებით გათვალისწინებული 5,8 პროცენტის ნაცვლად გაიზარდა 7,4 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 7 მილიარდ მანეთისაზე მეტი ღირებულების პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მთელი მატების ოთხ მეხუთედზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით, საექსპლოატაციოდ გადაცემულია 90 მილიარდ მანეთისაზე მეტი საერთო ღირებულების საწარმოო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები. ეს ჩვენი ქვეყნის, მრეწველობის მუშაკთა დიდი წარმატებაა.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები, ქალაქები მოსკოვი და ლენინგრადი, აგრეთვე 739 საწარმოს, მშენებლობისა და ორგანიზაციის კოლექტივი წითელი დროშებითა და ფულადი პრემიებით დაჯილდოვეს.

სასიხარულოა, რომ **დაჯილდოებულთა შორის არის საქართველოს სს რესპუბლიკა, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და საავტომობილო გზების სამინისტროს ბორის № 28 საგზაო-საექსპლოატაციო უბანი, ამიერკავკასიის ოქტომბრის რკინიგზის ორდენოსანი რკინიგზა, საწარმოო გაერთიანება „ბორჯომი“, მშენებლობის სამინისტროს № 3 და № 13 სამშენებლო ტრესტები, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს თბილისის, № 2 ავტოსატრანსპორტო საწარმო, თბილისის № 1 ფისქვილკომბინატი და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ყვალტაბის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო.**

ეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის, საქართველოს მრეწველობის მუშაკთა დიდი წარმატებაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განახორციელა მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებანი საწარმოებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, თვითეულ უბანზე პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის. სოციალისტური შეჯიბრება უფრო შემოქმედებითი და მიზანსწრაფული გახდა, გონივრულად მოწყობილმა შრომამ დადებითი შედეგი გამოიღო. ხუთწლედის მესამე გაზაფხულიდან წლეს 1972 წლთან შედარებით სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 7,3 პროცენტით გაიზარდა, გეგმით კი ზრდა 4,4 პროცენტით იყო გათვალისწინებული. ხუთწლედის განვლილ პერიოდში პირველად რესპუბლიკაში შესრულდა საბინაო მშენებლობის გეგმა; გეგმის გადამეტებით გადაზიდულია ათობით ათასი ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი.

როცა ამ წარმატებებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ ის სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც საერთოდ ჯერ კიდევ არის ჩვენს მუშაობაში. გასულ წელს პროდუქციის რეალიზაციის დავალება 54 საწარმომ ვერ შეასრულა; ბევრი საწარმო ჩამორჩება შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალების შესრულების საქმეში, უშვებს დიდ გადახარჯვებს. მართალია, ჩვენმა მშენებლებმა შარშან კარგად იმუშავეს, 1972 წელთან შედარებით გაცილებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს, მაგრამ კაპიტალური მშენებლობის გეგმა მთლიანად არ შესრულებულა.

მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს, მაინც ჩამოვრჩებით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ტემპებს, ამიტომ მიღწეული ერთი წუთითაც არ გვაძლევს დამშვიდების უფლებას. ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში უფრო დაძაბული მუშაობა გვმართებს.

1974 წელს რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის წარმოება 1973 წელთან შედარებით 9 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ეს კი დიდი ამოცანების წინაშე აყენებს ყველა შრომითს კოლექტივს.

სოციალისტური შეჯიბრება ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ჩვენს ცხოვრებაში. ახლა, როცა განუზომლად გაიზარდა ჩვენი საგმირო საქმეების სირთულე და მასშტაბები, შეჯიბრების როლი კიდევ უფრო ძლიერდება. იგი უნდა ავიყვანოთ ახალ დონემდე, რათა შეჯიბრების საგანი გახდეს ბრძოლა მუშაობის მაღალი შედეგებისათვის; ნაბისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის უნდა იბრძოდეს მთელი კოლექტივები.

საფუძვლიანად უნდა განვიხილოთ საუკეთესო კოლექტივების გამოცდილება, შევიარაღდეთ ყოველივე მნიშვნელოვანით, უფრო ფართოდ გავშალოთ მასობრივი პატრიოტული მოძრაობა დევიზით — გამოვუშვათ მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს შეჯიბრების ისეთი ფორმა, როგორიც არის შემხვედრი გეგმები. იგი დაიწყო მოსკოველთა ინიციატივით და მას ფართოდ გამოეხმაურნენ ჩვენი რესპუბლიკის საწარმოთა კოლექტივები. ეს შეჯიბრება მთლიანად ეყრდნობა მასების ინიციატივას, ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ უფრო სრულად გამოვლინდეს თვითეული საწარმოს შესაძლებლობანი, უფრო სწრაფად ჩააყენონ რეზერვები ხუთწლედის სამსახურში.

დიდი ჯილდო გვაკვალებს უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელი წლის წარმატებით შესრულებისათვის.

28 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი მოსკოვიდან კუბის რესპუბლიკაში გაემგზავრა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით. სურათზე: გაცილება ვნუკოვოს აეროდრომზე.

სკკპ-ისი (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

# ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის განცხადება

## პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტისათვის

**მოსკოვიდან** ჰავანაში გაფრენის წინ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** პრენსა ლატინას სააგენტოს კორესპონდენტს აეროდრომზე განუცხადა შემდეგი:

დიდი სიხარულით დავეთანხმე ამხანაგ ფიდელ კასტროს მიწვევას ჩავსულიყავი თავისუფლების კუნძულზე.

განსაკუთრებულ კმაყოფილებას ვგრძნობ, რომ გავეცნობი თქვენს ქვეყანას, კუბის რევოლუციის მიღწევებს, მეგობარ კუბელ ხალხს და გადავცემ საბჭოთა ადამიანების აღტაცებას მისი რევოლუციური ენთუზიაზმისა და ვაჟკაცობის გამო.

საბჭოთა კავშირსა და კუბას აკავშირებს მტკიცე, ძმური მეგობრობა, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპები.

კმაყოფილებით ველი შეხვედრას ამხანაგ ფიდელ კასტროსთან კუბის მიწაწყალზე. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მომავალი მოლაპარაკება მასთან და კუბის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებთან ხელს შეუწყობს მეგობრობის შემდგომ გაღრმავებას ჩვენს მოძმე პარტიებს შორის, საბჭოთა და კუბელ ხალხებს შორის.

ჰავანაში შეხვედრამდე! (საკდესი).

# ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კუბის რესპუბლიკაში გაემგზავრა

**28 იანვარს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** კუბის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის **ფიდელ კასტრო რუსის** მიწვევით მოსკოვიდან კუბის რესპუბლიკაში გაემგზავრა ოფიციალური მეგობრული ვიზიტით.

ამხანაგ **ლ. ი. ბრეჟნევთან** ერთად გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. ვ. შჩერბიცკი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **გ. ვ. რომანოვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **კ. თ. კატუშევი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სამოქალაქო ავიაციის მინისტრი **ბ. პ. ბუგაევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ი. ვ. არხიპოვი,** აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **კ. ვ. რუსაკოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. მ. ალექსანდროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე **ა. ი. ბლატოვი,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, საკდესის გენერალური დირექტორი **ლ. მ. ზამიატინი.**

საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი **ლ. ი. ბრეჟნევი** გაიცილეს ამხანაგებმა **ი. ვ. ანდროპოვმა, ა. ა. გრეჩკომ, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, პ. ნ. დემიჩევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ი. ვ. კაპიტონოვმა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა **პ. ა. აბრასიმოვმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, გ. ს. პავლოვმა, კ. უ. ჩერნენკომ, გ. ე. ცუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა **ს. კ. ცვიგუნმა,** სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრებმა **ო. ბ. რახმანინმა, გ. კ. ცინევმა,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწემ **ვ. ა. გოლიკოვმა.**

გამცილებელთა შორის იყვნენ საბჭოთა კავშირში კუბის რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები, აგრეთვე კანადის ელჩი სსრ კავშირში **ა. დ. ფორდი.**

ამავე თვითმფრინავით ჰავანაში გაფრინდა კუბის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში **სეფერო აგირე დელ კასტრო.** (საკდესი).

# დამკვრელური შრომით

## საყოველთაო სტაფეტა

**კარგად** მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობაა. სასიხარულოა, ზომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საკავშირო პროფსაბჭომ და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა 1973 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს საქართველოს სს რესპუბლიკა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და წითელი დროშებით დაჯილდოვეს.

ამ დადგენილებით აგრეთვე წითელი დროშებით დაჯილდოვდებულია ჩვენი რესპუბლიკის რვა საწარმო და ორგანიზაცია.

სულით და გულით ვულოცავთ ამ კოლექტივებს დიდ გამარჯვებას.

საკავშირო წითელი დროშა და პრემია ორი მარტო ამ კოლექტივების შრომას შემატებს ენთუზიაზმს, არამედ ყველა ჩვენთაგანის შრომითი სტიმული გახდება.

**გ. კურტანიძე,**
**თბილისის ფოლად-ფუჭსამსხმელო ქარხნის მეცოპეთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი.**

## ყველა გაგვახარა...

**მე** სოფლის მეურნეობის მუშაკი ვარ, მაგრამ ისევე გულწრფელად გამახარა ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა გამარჯვებამ, როგორც სოფლის მშრომელთა გამარჯვებამ, რისთვისაც მათ ამ დღეებში პარტიისა და მთავრობის მაღალი ჯილდოები — ორდენები და მედლები გადაეცათ.

სულითა და გულით მივესალმები საქართველოს სახელოვან მუშაოა ქალს, მის შესანიშნავ ადამიანებს, რომლებმაც დაუღალავი შრომით მოიპოვეს გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ეს დიდი ჯილდო საქართველოს ყველა მშრომელს მკეთნინს და გვავალებს კვლავ სასახელო საქმეთ ვუპასუხოთ პარტიისა და მთავრობის დიდ ნდობას, დიდ შეფასებას.

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ 1974 წელს უფრო დიდ წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო! დაე საქართველოში მუდამ ფრიალებდეს სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების წითელი დროშა!

**ელენე გორგაძე,**
**ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნისკარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე, სოციალისტური შრომის გმირი.**

# დღვეუები თვითმფრინავიდან

**სკკპ** ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა** თვითმფრინავიდან დეპეშა გაუგზავნა დანიის პრემიერ-მინისტრს **პოულ ჰარტლინგს.** დეპეშაში ნათქვამია: დანიის ტერიტორიაზე გადაფრენისას სალამს გიძღვნით და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო.

„იმედს გამოვთქვამ, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და დანიას შორის მომავალშიც განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ და სამსახურს გაუწევს შემდგომ პროგრესს ევროპის მშვიდობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების საქმეში.

**ლ. ი. ბრეჟნევმა** დეპეშა გაუგზავნა შვეიცის პრემიერ-მინისტრს **ულოფ პალმეს.**

შვეიცის ტერიტორიაზე გადაფრენისას, ნათქვამია დეპეშაში, გულწრფელად გისურვებთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ვუსურვებ მეზობელი შვეიცის მთავრობასა და ხალხს კეთილდღეობასა და შემდგომ აყვავებას.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ მეგობრული ურთიერთობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა, რაც ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებობს, შემდეგშიც წარმატებით განვითარდება ევროპის შვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობის საქმის ინტერესებისათვის.

**ლ. ი. ბრეჟნევმა** დეპეშა გაუგზავნა აგრეთვე დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს **ედვარდ ჰიტს.**

დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე გადაფრენისას, ნათქვამია დეპეშაში, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, აგრეთვე მთავრობასა და ინგლისელ ხალხს.

მინდა გამოვთქვა იმედი, რომ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საყოველთაო შვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ **რიჩარდ ნიქსონისათვის ლ. ი. ბრეჟნევის** მიერ გაგზავნილ დეპეშაში ნათქვამია:

ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირების ახლოს გადაფრენისას ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასა და ხალხს.

გამოვთქვამ რწმენას, რომ საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების ურთიერთობა კვლავაც განვითარდება ჩვენი ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საერთაშორისო უშიშროებისა და საყოველთაო შვიდობის ინტერესებისათვის. (საკდესი, 28 იანვარი).

# ლ. ი. ბრეჟნევი კანადაში

**ჰანდერი** (ნიუფაუნდლენდის კუნძული), 28 იანვარი. (საკდესი). კუბის რესპუბლიკაში მიმავალი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი **ლ. ი. ბრეჟნევი** ცოტა ხნით ჩამოხდა ჰანდერის აეროპორტში. მას დახვდნენ კანადის ეკონომიკის მინისტრი **დ. ჯეიმისონი,** აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი კანადაში **ა. ნ. იაკოვლევი.**

გამიმართა ლ. ი. ბრეჟნევისა და მინისტრ დ. ჯეიმისონის მეგობრული საუბარი, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხს.

**ლ. ი. ბრეჟნევმა** კანადის პრემიერ-მინისტრს **პ. ე. ტრიუდოს** ჰანდერიდან გაუგზავნა შემდეგი დეპეშა:

მოკლე ხნით რომ ვიმყოფები კანადის ტერიტორიაზე, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბატონო პრემიერ-მინისტრო, და კანადის მთავრობას. კეთილდღეობასა და აყვავებას ვუსურვებ აგრეთვე მეგობარ კანადელ ხალხს.

დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირისა და კანადის კეთილმეზობლობა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობა კვლავაც წარმატებით განვითარდება და ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნების და საყოველთაო შვიდობის ინტერესებს.

## თავდასვის მინისტრთა კომიტეტის სხდომის შესახებ

**1974 წლის** ოებერვლის დამდეგს ბუქარესტში გაიმართება ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე საბჭოთა თავდაცვის მინისტრთა კომიტეტის სხდომა.

სხდომა განიხილავს ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო ორგანოების მიმდინარე საქმიანობის საკითხებს.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამოცანები შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებასთან დაკავშირებით

**საქართველოს** კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულებანი შრომითი დიდების ორდენისა და მედლის „შრომის ვეტერანის“ დაარსების შესახებ, რომელიც მხურვალედ მოიწონეს რესპუბლიკის კომუნისტებმა და ყველა მშრომელმა, დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტია, კვლავ მოწმობს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვასა და ყურადღებას მშრომელი ადამიანებისადმი, მუშათა კლასის — ჩვენი საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი ძალის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის დამსახურების მაღალი შეფასებაა, რომელთა თავდადებული შრომით ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა.

შრომითი მიღწევებისათვის მთავრობის ახალი მაღალი ჯილდოების დაარსება გამომდინარეობს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ობიექტიდან, ჩვენი ყოობილების ღრმა დემოკრატიული ბასიათიდან, მეურნეობის გაძღოლის სოციალისტური მეთოდიდან, რომელსაც საფუძვლად უდევს საბჭოთა ადამიანების შეგნებული შრომა ნათელ კომუნისტური საზოგადოებისათვის, მათი პოლიტიკური აქტივობა და ინიციატივა, ღრმა გაგება და მხარდაჭერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკისა, რომლის მიზანია კიდევ უფრო აუმაღლოს ავტორიტეტი, ღირსება და პატივისცემა შემატოს მშრომელ ადამიანს, რომლებიც ნამდვილი მასპინძლები გმირობის მაგალითებს გვიჩვენებენ ხუთწლედის დიდ დამკვრელურ ფრონტებზე. საბჭოთა ადამიანები შრომაში ხედავენ თავიანთ მაღალ საზოგადოებრივ და მოქალაქეობრივ მოვალეობას, ამაში პოულობენ მორალურ კმაყოფილებასა და ზნეობრივ მოთხოვნილებას.

საქართველოს მშრომელები შრომითი დიდების ორდენის და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებას აღიქვამენ როგორც ახალ სტიმულს საბალხო მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგის მუშაკთა შრომითი და პოლიტიკური აქტივობის ასამაღლებლად. ისინი ერთსულოვნად უჭერენ მხარს და ეწონებენ ჩვენი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უდიდეს ნაყოფიერ მოღვაწეობას. ისინი თავდადებით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის, ამ პლენუმზე ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლის პრინციპული დებულებებიდან და დასკვნებიდან გამომდინარე ამოცანების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელებისათვის, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის.

გასულელი წელი მნიშვნელოვანი მიღწევებით აღინიშნა იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცება, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლება, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება, საზოგადოებრივი კლიმატის გაჯანსაღება, ინტერნაციონალიზმისა და ერთსაზოგადოებრივ მოვალეობათა ალმოფხვრა. რესპუბლიკის მრეწველობამ 1973 წელს გადამდე შეასრულა სახელმწიფო გეგმები და სოციალისტური ვალდებულებანი; წარმატებით შეასრულეს დავალებები მშენებლებმა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიაჩნია, რომ განუწყვეტლივ უნდა უმჯობესდებოდეს და ძლიერდებოდეს მუშაობა, რათა გადაჭრით გარდაიქმნას პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების მთელი საქმიანობა ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წლის და მთლიანად ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის ყველა მშრომელთა ძალების დასაარაზმად, რომ საჭიროა უფრო მტკიცედ ვიბრძოლოთ ეკონომიკის ყველა რგოლში უდისციპლინობის, მოშვებულობის, უყურადღებობის, ბიუროკრატიზმისა და თვითდამშვიდების წინააღმდეგ; კრიტიკისა და თვითკრიტიკის ყოველნაირად განვითარებისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების ზუსტად დაცვისათვის, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა გაძლიერონ მუშაობა რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის, წარმოების ყველა ამ რეზერვის გამოვლინებისა და გამოყენებისათვის, რომელთა დამატებით გამოვლენა და გამოყენება შეეძლება მუშაობისადმი შემოქმედებითი მიდგომის, ინიციატივის ფართოდ განვითარების, თვითეული კოლექტივის, თვითეული მუშაკის ორგანიზებულობის ამაღლების მეოხებით; შრომის ნაყოფიერების

(დასასრული მე-2 გვ.)

# რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამოცანები შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებასთან დაკავშირებით

(დასასრული).

ზრდის დაჩქარებისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, ნაკლები დანახარჯებით უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტმა 1974 წელი გამოაცხადა ყველა გეგმისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების შემოწმების წლად, თავის გადაწყვეტილებათა ყოველი პუნქტის მოლიანად შესრულების წლად. დიდი ხარვეზებია აღმოსაფხვრელი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო მომსახურების სფეროში.

ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი იმპულსი და სერიოზული დასაყრდენი იქნება მთავრობის ახალი მაღალი ჯილდოების დაწესება, რომლებიც ხელს შეუწყობენ შრომის, საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, ბრძოლას მუშახელის დენადობის წინააღმდეგ, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომ განვითარებას, რათა წარმატებით შესრულდეს ხუთწლედის შეთხზა, განმსაზღვრელი წლის დაძაბული გეგმები და ვალდებულებანი, ბრძოლას უგულოდ მომუშაველების, გამცდენებისა და წუნის მკეთებლების წინააღმდეგ.

ამის საამედო გარანტიაა პოლიტიკური და შრომითი ამაღლება, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ლენკომ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა 1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ, შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებამ. საბჭოთა საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ ხუთწლედის მეოთხე წელი. ყოველ დღეს მოაქვს ახალი პატრიოტული წამოწყებანი და თაოსნობანი, რომელთა მიზანია მიმდინარე წლის და მთელი ხუთწლედის გეგმებისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით წარმატებული შესრულება. ყოველი ამ თაოსნობისა და წამოწყების, სოციალისტურ ვალდებულებათა ყოველი პუნქტის უკან დგას მშრომელი ადამიანი, რომელიც ისწრაფვის თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს პარტიის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის საერთო-სახალხო საქმეში.

პარტია ჯეროვნად აფასებს იმათ, ვინც იჩენს მაღალ შეგნების შრომაში, მიდის სოციალისტური შეჯიბრების ავანგარდში, ყოველნაირად უჭერს მხარს მასების შემოქმედებითს ენთუზიაზმს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავს მთავრობის ახალი მაღალი შრომითი წარჩინების ჯილდოების პრინციპულ ისტორიულ მნიშვნელობას და მოუწოდებს რესპუბლიკის ყველა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, შემოქმედებითი და სამეცნიერო დაწესებულებების, სასწავლებლების კოლექტივებსა და ყველა მშრომელო უფრო მაღალ ასწიონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშა; ფართოდ გამოიყენონ შრომითი კოლექტივების აქტივობის განვითარების ყველა შესაძლებლობა, აამოქმედონ სოციალისტური დემოკრატიზმის მძლავრი რეზერვები, ჩაყენონ ისინი იმ ამოცანების გადაწყვეტის სამსახურში, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილ: 1. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად ფართოდ გაშალონ აქტიური პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა განუმარტონ თვითეულ მშრომელს შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსების არსი და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებითაც ჯილდოდებიან მრეწველობის, ტრანსპორტის, მშენებლობის მუშები და ამ დარგების წარმოების ოსტატები, კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშები ერთ საწარმოში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში თავდადებული მაღალნაყოფიერი შრომისათვის, ყველა მშრომელი სახალხო მეურნეობაში, მეცნიერების, კულტურის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში, სახელმწიფო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შრომული წლის კეთილსინდისიერი შრომისათვის;

— დაუკვემდებარონ ზეპირი და მეჯდითი პროპაგანდის ყველა საშუალება პარტიული და კომკავშირული პოლიტგანათლებისა, ეკონომიური განათლების მთელი სისტემა, სალექციო პროპაგანდა, საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, თვალსაჩინო აგიტაცია, პრესა, ტელევიზია და რადიო იმ ამოცანებს, რომ თვითეულ მშრომელს გააცნონ, თუ რა როლს ასრულებენ ახალი ჯილდოები ხუთწლედის დავალებათა შესრულების, პარტიული, სახელმწიფო, შრომითი, საწარმოო, ტექნოლოგიური დისციპლინის შემდგომი განმტკიცების საქმეში;

— ყოველნაირად გამოიყენონ მორალური წახალისებისა და მატერიალური სტიმულირების ეს დიდი ღონისძიება, რათა მთელი მეცადინეობა მოახმარონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, რესპუბლიკაში ანტისაზოგადოებრივი მოვლენების საბოლოო აღმოფხვრას, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მორალური კლიმატის სრულ განჯანსაღებას, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის გაძლიერებას, მათთვის შრომისადმი, კოლექტივისადმი, სოციალისტური საკუთრებისადმი, საზოგადოებრივი ინტერესებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მაღალ გრძნობის ჩანერგვას;

— სამრეწველო საწარმოების, ტრანსპორტის, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივების შრომითი აქტივობა იქონიონ წარმართონ, რომ განამტკიცონ და ამრავლონ მიღწეული წარმატებანი, კიდევ უფრო ამაღლონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა, რაციონალურად გამოიყენონ არსებული რეზერვები. ფართოდ დანერგონ პრაქტიკაში მოწინავე გამოცდილების, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები;

— აწარმოონ თანმიმდევრული და მტკიცე ბრძოლა, რათა აღმოფხვრან საშუალო დროის არამწარმოებლური ნაკლოვანებები, მუშათა ხორობა, გაცდენები და სხვა არაჯანსაღი მოვლენები. რომლებიც ნამდვილი უბედურებაა ბევრი სამეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ტრანსპორტისა და მშენებლობის საქმიანობაში;

— გააძლიერონ მუშაობა საბჭოთა ხალხის სახელოვან რევოლუციურ და შრომის ტრადიციებზე ადამიანთა აღზრდისათვის, ფართოდ გაუწიონ პოპულარიზაცია ხუთწლედის მოწინავეთა წარმატებებს, სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეების, ნოვატორებისა და შრომის ვეტერანების გამოცდილებას, თვითეულ შრომითს კოლექტივში იქონიონ ლამაზად გაფორმებული სტენდები, კუთხეები, საპატიო დაფები;

—მოაწყონ საწარმოებში, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ლექციათა ციკლები საბჭოთა ადამიანის შრომითი აღზრდის, საბჭოთა კავშირის მომე რესპუბლიკათა მშრომელების შრომითი კონტაქტების, სოციალისტური კვეყნების მშრომელებთან საბჭოთა მუშათა კლასისა და გლეხობის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობის გაფართოების პრობლემებზე.

2. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, მრეწველობის, ტრანსპორტის, საწარმოთა, მშენებლობათა ხელმძღვანელებმა, მათმა პირველადმა პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა უფრაფ შესრულონ ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმები და ვალდებულებანი. მაქსიმალურად გამოიყენონ არსებული რეზერვები სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წელის მკეთრი გადიდების, დაბალხელა სახსრებისა და შრომის მაღალი ეფექტიანობის მიღწევის მიზნით, დაამყარონ სახელმწიფო წესრიგი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ღორიცხვასა და ანგარიშგებაში, ყოველნაირად შეუწყონ ხელი სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში ობიექტი ინიციატივებისა და თანაზნობების განვითარებასა და ფართოდ გავრცელებას, უფრო აქტიურად გამოიყენონ კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური სტიმულირების ყველა პროგრესული ფორმა და მეთოდი, დანერგონ მოწამოქმედებისა და მეცხოველეობის მოწინავეთა საჯარო პატივისცემა; თვითეულ კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობის მუშას, სოფლის მეურნეობის სპეციალისტს სისტემატიურად ჩაუნერგონ თავიანთი შრომისათვის, მისი შედეგებისათვის მაღალი სიამაყისა და პასუხისმგებლობის გრძნობა.

4. ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებმა, ეკავშირის გამგეობამ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა და მომსახურების სფეროს პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა აამაღლონ სამედიცინო, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე, ბის გადაწყვეტის სამსახურში, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე დგას ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილ: 1. საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად ფართოდ გაშალონ აქტიური პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, რათა განუმარტონ თვითეულ მშრომელს შრომითი დიდების ორდენისა და „შრომის ვეტერანის“ მედლის დაარსებამ. საბჭოთა საქართველოს ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ახალი შრომითი გამარჯვებებით აღნიშნონ ხუთწლედის მეოთხე წელი. ყოველ დღეს მოაქვს ახალი პატრიოტული წამოწყებანი და თაოსნობანი, რომელთა მიზანია მიმდინარე წლის და მთელი ხუთწლედის გეგმებისა და დავალებების მთლიანად და გადაჭარბებით წარმატებული შესრულება. ყოველი ამ თაოსნობისა და წამოწყების, სოციალისტურ ვალდებულებათა ყოველი პუნქტის უკან დგას მშრომელი ადამიანი, რომელიც ისწრაფვის თავისი ღირსეული წვლილი შეიტანოს პარტიის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის საერთო-სახალხო საქმეში.

ბიდების სამშენებლო რაზმის მეგეტონე.

**ბოხდარეკო** ანდრია დიმიტრისძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსიგნალმშენის“ № 9 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალი.

**ეუფუნაძე** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის უფროსი.

**კალანდაძე** შოთა ვარდენის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსზრიგორმის“ № 78 სამშენებლო სამმართველოს მბურღავი.

**კაკნაძე** ჯემალ დავითის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „იუტრანსტექმონტაჟის“ სპეციალიზებული მატარებლის უფროსი ოსტატი.

**ლურსმანაშვილი** არჩილ თეიმურაზ-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის საკონტაქტო ქსელის მონტიორი.

**ნოზაძე** ვაჟა შალვას-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის შოფერი.

**საკოსინა** გალინა ბანტელეის ასული — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის მებეტონე.

**ხელიბოდი** ვასილ ივანეს-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „იუტრანსტექმონტაჟის“ სპეციალიზებული მატარებლის უფროსი.

**უგრეხელიძე** ვირლამ ისლამის-ძე — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ ექსპედიციის უფროსი.

**ფირცხალაიშვილი** მიხეილ სიმონის-ძე — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ პროექტის მთავარი ინჟინერი.

**ქოქაშვილი** დიმიტრი ეგორის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის ბაშურის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადირი.

**ჭურდაძე** ნუგზარ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგბმოლობისა და სიგნალიზაციის ბაშურის დისტანციის უფროსი ელექტრომექანიკოსი.

**შველიძე** თენგიზ ლევანტის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის ხარატი.

**ჭყონაძე** აიანტ ერასტის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარი ინჟინერი.

**ხაჩიძე** აკაკი არჩილის-ძე — ამიერკავკასიის მაგისტრალური ნავთობსადენი სამმართველოს ნავთობგადასატუმბავი სადგურის უფროსი.

# დაჯილდოება

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 25 იანვრის ბრძანებულებით ბაშური-ზესტაფონის საუღელტეხილო უბანზე რკინიგზის მეორე ლიანდაგის ასამოქმედებლად გაწეული დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოდნენ:**

**აბესაძე** მიხეილ ელეფთერის-ძე — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**ბერუჩაშვილი** გურამ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის განყოფილების უფროსი ინჟინერი.

**ბლუაშვილი** ომარ ვარლამის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდების სამშენებლო რაზმის მებეტონე.

**ბონდარენკო** ანდრია დიმიტრისძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსიგნალმშენის“ № 9 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალი.

**ეუფუნაძე** ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის უფროსი.

**კალანდაძე** შოთა ვარდენის-ძე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „ტრანსზრიგორმის“ № 78 სამშენებლო სამმართველოს მბურღავი.

**ლორთქიფანიძე** ნიკოლოზ დიმიტრის-ძე — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების უფროსი.

**მგალობლიშვილი** ლეონ თეიმურაზის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის უფროსის მოადგილე.

**ფირაძე** პავლე ლავრენტის-ძე — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების სამშენებლო კონსტრუქციების ბიუროს მეთაური.

**ჯანბაძე** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ელექტროშემდუღებელი.

**ბიხარულიძე** ჯუმა ისაკის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველი.

**ცეცაძე** ისმაილ მიხეილის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსი.

**ცირულნიკოვი** ალექსანდრე ისაკის-ძე — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მთავარ ინჟინერი.

**ბერეიანს** გიორგი იოსების-ძეს — ამიერკავკასიის რკინიგზის კავშირგბმოლობისა და სიგნალიზაციის სამსახურის მთავარ ინჟინერი.

**დმიტრიევს** დიმიტრი ვალენტინის-ძეს — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

**მგალობლიშვილს** ლეონ თეიმურაზის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის უფროსის მოადგილე.

**ფირაძეს** პავლე ლავრენტის-ძეს — საპროექტო ინსტიტუტის „კავგიპროტრანსის“ განყოფილების სამშენებლო კონსტრუქციების ბიუროს მეთაურ.

**ჯანბაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ელექტროშემდუღებელ.

**ბიხარულიძეს** ჯუმა ისაკის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის მმართველს.

**ცეცაძეს** ისმაილ მიხეილის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 349 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს.

**ცირულნიკოვს** ალექსანდრე ისაკის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მთავარ ინჟინერს.

**ვალენიუკს** ნიკოლოზ ნიკიტასძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გაზშემდუღებელს.

**ზატოლიუკს** დომნა მირონის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მებათქაშეს.

**კარაპეტიანს** ეღიშ ანდრიასძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის სანტექნიკოსს.

**გოკაძეს** პეტრე გიორგის-ძეს — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანს.

**გუდაძეს** ივთანდილ ტარასის-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ბრიგადირს.

**ვალენიუკს** ნიკოლოზ ნიკიტასძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 243 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გაზშემდუღებელს.

**ზატოლიუკს** დომნა მირონის ასულს — ამიერკავკასიის რკინიგზის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მებათქაშეს.

**კარაპეტიანს** ეღიშ ანდრიასძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის მებეტონეს.

**კაკაბაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ელექტროშემდუღებელ.

**ლაბაძეს** სუფთელო ძალუბა ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ბრიგადირ.

**ლაბაძეს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს — ამიერკავკასიის სატრანსპორტო მშენებლობის ტრესტის № 24 სარემონტო-აღდგენითი მატარებლის ელექტროშემდუღებელ

# ᲙᲣᲑᲐ: ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ, ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ Ლ. Ი. ᲑᲠᲔᲟᲜᲔᲕ!

ᲰᲐᲕᲐᲜᲐ, 28 იანვარი. (საკდესის კორ.). რევოლუციური კუბის დედაქალაქი სტუმართმოყვარე და ხალისიანია, მაგრამ დღეს გულუხვი ტროპიკული მზის სხივებით გაბრწყინებული ნათელი, ქათქათა ქალაქი განსაკუთრებით მშვენიერია. ჰავანა თითქოს გარდაქმნა მზადებამ დიდი და საზეიმო მოვლენისათვის — ხკკა ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ვიზიტისათვის.

წითლად მორთულა მისი მოედნები და ბულვარები, პროსპექტები და ქუჩები. მსუბუქი ნიავი არხევს საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებს. სახელმწიფო დაწესებულებებისა და საწარმოების შენობათა ფრონტონებზე კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის. აგრეთვე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პორტრეტები. ყველგან გამოკრულია ტრანსპარანტები, რომლებზეც რუსულად და ესპანურად წარწერილია გულითად მისალმებათა სიტყვები და ლოზუნგები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. ძვირფასო ამხანაგო ლ. ი. ბრეჟნევ!“, „რევოლუციური იდეები წინ მიდიან ოქტომბრის რევოლუციის მიერ გაკაფული გზით“.

კუბის პრესა, ტელევიზია და რადიო თავიანთ მასალებსა და გადაცემებს უძღვნიან საბჭოთა კავშირს, მის დიდ წარმატებებს ახალი საზოგადოების მშენებლობის ყველა დარგში. გაზეთებმა და ჟურნალებმა დაბეჭდეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ბიოგრაფია.

კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „გრანმამ“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით: „ის“ ტორიული მნიშვნელობის ვიზიტი“. „ეს ვიზიტი ყველაზე მკაფიოდ გვიჩვენებს, რომ უკვდავი ლენინის საქმე, კაცობრიობის განთავისუფლებისა და პროგრესის საქმე მკვიდრდება, ცოცხლობს და იმარჯვებს ჩვენი პლანეტის ყველა კუთხეში“, — ხაზგასმულია სტატიაში.

გაზეთი ორ გვერდს უთმობს თავისი სპეციალური კორესპონდენტების რეპორტაჟებს გმირი ქალაქის ნოვოროსიისკისა და იმ საგმირო საქმეთა შესახებ, რომლებიც ამ ქალაქის რაიონში ჰიტლერულ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირული ბრძოლების დროს მოახდინეს მე-18 არმიის მებრძოლებმა და ოფიცრებმა, რომლის პოლიტიკურ განყოფილებას ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი მეთაურობდა.

## ● ᲐᲛᲒᲔᲒᲘ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ● ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲥᲓᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲙᲔ

# ᲒᲐᲜᲘᲖᲘᲚᲐᲕᲔᲜ ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲡ

**ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ, 28 იანვარი. (საკდესი). აქ მიმდინარეობს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირი, რომლის მონაწილენი იხილავენ კაპიტალისტის კრიზისის ახლანდელი გამწვავებისა და სოციალური პროგრესისათვის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის კომუნისტთა ბრძოლის აქტუალურ პრობლემებს.**

### ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲖᲔ

სოციალისტური ბანაკი ხალხთა მშვიდობისა და პროგრესის მეოროშეა. იგი წარმატებით ვითარდება, მის მხარეზეა კაპიტალისტური ბატონობისაგან განთავისუფლებისათვის მებრძოლი ყველა ხალხის სიმპათიები, განაცხადა თათბირზე საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჰ. ფლორაკისმა.

მან აღნიშნა, რომ მონოპოლიები ცდილობენ მშრომელებს დააკისრონ მოახლეობული ეკონომიური კრიზისის მთელი სიმძიმე.

საბერძნეთის კომუნისტური პარტია, ხაზი გაუსვა მან, იბრძვის სამხედრო დიქტატურის დამხობისათვის, დემოკრატიისათვის, ამერიკულ მონოპოლიათა ძალმომრეობის წინააღმდეგ, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

ჰ. ფლორაკისმა გადაჭრით დაგმო ანტისაბჭოური, გამთიშველი პოზიცია, რომელსაც ჩინეთის კომპარტიის მაოისტური ხელმძღვანელობა ადგას.

დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ჯ. გოლანმა თქვა, რომ ინგლისის შესვლამ „საერთო ბაზარში“ გაუარესა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა.

მან აღნიშნა, რომ კომუნისტურ პარტიათა გავლენის ზრდა საერთო ტენდენციაა ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში, და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გაფართოვდეს ბრძოლა კაპიტალისტურ მონოპოლიათა წინააღმდეგ ძირფესვიანი დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, რომლებიც გზას გაუკაფავენ სოციალიზმს.

ჩვენ შუადამ გვეხსომება კაპიტალიზმის სისხლიანი დანაშაული ჩილეში, განაცხადა თურქეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა.

საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები, თქვა მან, მტკიცედ იცავენ მშვიდობას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ, საკადრის ბასუხს სცემენ იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკას.

თურქეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელმა ილაპარაკა თურქეთის მშრომელი ხალხის ბრძოლაზე დემოკრატიისათვის, თავისი ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

# ᲒᲛᲝᲒᲔᲜ ᲧᲣᲜᲢᲘᲡ ᲠᲔᲞᲠᲔᲡᲘᲔᲑᲘ

ᲒᲣᲐᲘᲐᲙᲘᲚᲘ. ეკვადორის პროგრესული საზოგადოებრიობა პროტესტს აცხადებს სისხლიანი რეპრესიების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩილეს სამხედრო ხუნტა მიმართავს. როგორც აღნიშნულია ეკვადორის კომუნისტური პარტიის, ქვეყნის სხვა პროგრესული პარტიების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განცხადებაში, ფაშისტურმა ხუნტამ დაამხო კანონიერი მთავრობა, მოკლა ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე, ფხოცა ათასობით სხვა პატრიოტი და შემზარავი ტერორი გამოაცა ხალხის წინააღმდეგ.

ᲑᲝᲒᲝᲢᲐ. კოლუმბიის დედაქალაქის ათასობით მუშა და მოსამსახურე შეიკრიბა ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე, სადაც კოლუმბიის მშრომელთა პროფკავშირული კონფედერაციის მოწოდებით გაიმართა მასობრივი მიტინგი. მისმა მონაწილეებმა გადაჭრით დაგმეს სამხედრო ხუნტის თვითნებობა, რომელიც დევნის სახალხო ერთიანობის მომხრეებს. „სამხედრო გადატრიალება ჩილეში — ეს არის გაკვეთილი მთელი ანტიიმპერიალისტური ძალებისათვის ლათინური ამერიკის კონტინენტზე“, — განაცხადა მიტინგზე კოლუმბიის მშრომელთა პროფკავშირული კონფედერაციის აღმასკომის წევრმა ერნან სამოგალმა.

ᲙᲔᲚᲜ. „ვიხსნათ ჩილელი დემოკრატები!, თავისუფლება ჩილეს!“ — ეს მოთხოვნები გაისმოდა მასობრივ მიტინგზე, რომელიც გაიმართა უნივერსიტეტის შენობაში დასავლეთ გერმანიის ქალაქ კელნში. შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრმა ჯ. ტეიტელბოიმმა. მან აღნიშნა, რომ სამხედრო პუტჩს ჩილეში მოჰყვა დემოკრატიის ყველა ფორმისა და დაწესებულების ლიკვიდაცია.

მაგრამ, განაცხადა ჯ. ტეიტელბოიმმა, ტერორმა და პროვოკაციებმა ვერ გატეხეს ჩილელ პატრიოტთა ნებისყოფა. მათ მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი განაგრძონ ბრძოლა, რომელსაც სულ უფრო მეტად უჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები.

ორატორმა აღნიშნა, რომ საჭირო კიდევ უფრო ფართოდ გაჯანაღონ საერთაშორისო მოძრაობა ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა პატიმრების განთავისუფლებისათვის, რომლებიც ხუნტამ სატანჯველსა და საკონცენტრაციო ბანაკებში დაამწყვდია.

შეკრებილთა წინაშე გამოვიდა ავრეთვე ბეატრის ალიენდე — პუტჩისტების მიერ მოკლული ჩილეს პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქალიშვილი.

(საკდესი, 28 იანვარი).

# ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, (საკდესი). აქ გამოაცხადეს თურქეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც ხახალხო რესპუბლიკური პარტიის ლიდერმა ბულენთ ეჯევითმა შეადგინა ეროვნული ხსნის პარტიასთან ერთად. ახალ კაბინეტში, რომელიც 25 კაცისაგან შედგება, 18 სახალხო რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელია და 7 ეროვნული ხსნის პარტიისა, მათ შორის ამ პარტიის გენერალური თავმჯდომარე ნეჯმეთინ ერბაკანი, რომელმაც პრემიერ-მინისტრის მოადგილის პოსტი დაიკავა.

საგარეო საქმეთა მინისტრის პორტფელი მიიღო ტურან გუნეშმა (სახალხო რესპუბლიკური პარტია), თავდაცვის მინისტრისა — ჰასან ფეხათ იშიკმა (სახალხო რესპუბლიკური პარტია), შინაგან საქმეთა მინისტრისა — ოგუზჰან ასლანტურქმა (ეროვნული ხსნის პარტია), ფინანსთა მინისტრისა — დენიზ ბაიკალმა (სახალხო რესპუბლიკური პარტია), ტურიზმის და ინფორმაციისა — ორჰან ბირგიომა (სახალხო რესპუბლიკური პარტია), იუსტიციისა — შეჰ

## საქართველო—კუბა

# ტილოებზეა კუბა და კუბელები

**თავისუფლების** კუნძულზე თავისებური მოგზაურობაა რესპუბლიკის დამსახურებული მხატვრის ნთელა იანქოშვილის ნაწარმოებთა გაცნობა. რამდენიმე წლის წინათ იგი კუბაში იყო, შემდეგ კი დიდი სიყვარულით აღბეჭდა ტილოებზე მოძმე ქვეყანა და მისი ხალხი.

ნთელა იანქოშვილის ნამუშევართა კუბური სერია რამდენჯერმე იყო გამოფენილი თბილისში. ფერწერული და გრაფიკული ნაწარმოებები, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობენ რეალიზმით, ამ ეგზოტიკური ქვეყნის თავისებურებათა ფაქიზი შეგრძნებით. მხატვარმა გასაოცარი ფერების გამით გადაწყვიტა თავისი ნამუშევრები, მან დახატა ფიდელ კასტროს პორტრეტი, კუბის სახალხო-რევოლუციური მილიციის მებრძოლთა პორტრეტები. ნთელა იანქოშვილის ნამუშევართა კუბურ სერიას გაეცნო ცნობილი კუბელი პოეტი, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ნიკოლას გილიენი. იგი იყო მხატვრის სახელოსნოში და მაღალი შეფასება მისცა მის ნამუშევრებს. პოეტისათვის სასიამოვნო იყო ამის გაგება, რომ ნათელამ გააფორმა გილიენის ლექსების ქართული გამოცემა „საგვარეულო სახელი“, დახატა მისი პორტრეტი.

ამ მოგზაურობის შესახებ თავისი შთაბეჭდილებანი მხატვარმა აღწერა წიგნში „გმირულ კუნძულზე“, რომელიც ილუსტრირებულია კუბაში შესრულებული ნახატებით. მხატვარმა ქართველ მკითხველებს უამბო კუბელებთან შეხვედრაზე, იმაზე, თუ რა დიდ ინტერესს იჩენენ ისინი საბჭოებისადმი, რა დიდი სიყვარულით არიან გამსჭვალულნი ჩვენი ხალხისადმი.

— კუბა სამუდამოდ დარჩა ჩემს გულში, — წერს ნათელა იანქოშვილი თავის წიგნში. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კიდევ ბევრჯერ მივმართავ საბჭოთა კავშირ-კუბის მეგობრობის თემას. (საქინფორმი).

**ხურათებზე: ნ. იანქოშვილის ნამუშევრები (მარცხნიდან) — კუბელი პატარძალი; ჰემინგუეის ხახლი სან-ფრანსისკო დე მაულაში.**

## ნიკოლას გილიენი: „ მიყვარს საქართველო...“

**გამოჩენილი** კუბელი პოეტის, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატის **ნიკოლას გილიენის** შემოქმედებას კარგად იცნობენ ქართველი მკითხველები. პოეტი რამდენჯერმე ყოფილი ჩვენს რესპუბლიკაში, გაეცნო მის ცხოვრებას. ამიტომ დაწერა მან თავისი ქართული კრებულისათვის ესეოდენ გულთბილი სიტყვები: **„გულით მიყვარს ჩემი ხალხივით მხიარული, მგზნებარე და ძლიერი ქართველი ხალხი. დღეს რევოლუციურ კუბაში ვიგონებ ჩემს ქართველ მეგობრებს და ძმურად ვეხვევი ყველას. დიდ სიამოვნებას მგვრის საქართველოში გატარებული დღეების მოგონება“.** კუბელი პოეტის ეს სიტყვები წამძღვარებული აქვს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოშვებულ კრებულს. კრებულში დაბეჭდილია ლექსები და ბალადები, რომლებიც ადიდებენ მშობლიურ ხალხს, საყვარელ მიწა-წყალს, განთავისუფლებულ შრომას, ბედნიერებასა და მშვიდობას. ლექსები ქართულ ენაზე თარგმნა გ. გოგიაშვილმა. კრებული გააფორმა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა რ. თარხან-მოურავამ.

მეორე კრებული **„საგვარეულო სახელი“**, რომელიც აგრეთვე გ. გოგიაშვილმა თარგმნა, ქართველ მკითხველებს აცნობს ნიკოლას გილიენის საუკეთესო ლირიკულ ნაწარმოებებს. კრებული გააფორმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა ნ. იანქოშვილმა.

**ახლა გ. გოგიაშვილი მუშაობს კუბელი პოეტის „რჩეულზე“.** ნიკოლას გილიენის — თანამედროვე კუბური პოეზიის შესანიშნავი ნაწარმოდგენლის შემოქმედება ძვირფასია საბჭოთა მკითხველისათვის, — **თქვა მან.** მისი ნათელი პოეზია, რომელიც უმღერის ადამიანის მაღალ იდეალებს — თავისუფლებას, სიყვარულს, თანასწორობას, ბედნიერებას, მილიონობით მკითხველს ეზიდავს. ნიკოლას გილიენის ნაწარმოების თარგმანებში შეეცადე ქართველი მკითხველისათვის დამენახვებინა მისი პოეტური სიყვარული მთელი მშვენიერება, თავისუფლების კუნძულის ხალხის გმირული სული, კოლორიტული და მგზნებარე კუბური სიმღერისა და რომანსეროს მელოდიები.

ნიკოლას გილიენის ნაწარმოებებმა პოეტური ხიდი გადეს კუბასა და საქართველოს შორის. ეს ლიტერატურული კონტაქტები, რომლებიც ხელს უწყობენ უკეთეს ურთიერთგაგებას, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებას, კვლავაც გაგრძელდება. (საქინფორმი).

## ცნობა

# აქ თამაშობენ პრეზიდენტები

### მკითხველთა თხოვნით

**ჩვენი** გაზეთის მკითხველები, განსაკუთრებით ჭადრაკის მოყვარულნი, გვთხოვენ მოკლე გეოგრაფიული ცნობები მივაწოდოთ უცხოეთის იმ ქალაქების შესახებ, სადაც მიმდინარეობს ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა მატჩები — ესენია პალმა დე-მალიორკა, სან-ხუანი და ოგასტა.

## პალმა-დე-მალიორკა




პალმა დე-მალიორკა (ან პალმა) ბალეარის კუნძულების (ესპანეთის პროვინცია) ადმინისტრაციული ცენტრი და მთავარი ნავსადგური. ქალაქი მდებარეობს კუნძულ მალიორკაზე ამავე სახელწოდების უბნის სამხრეთ-დასავლეთით სანაპიროზე. ხმელთაშუა ზღვაში მდებარე ამ კუნძულებზე იცის ცხელი და მშრალი ზაფხული, გრილი და ნოტიო ზამთარი. ქალაქი მდებარეობს ჩამქრალი ვულკანის ტორელიასის (1445 მ. ზღვის დონიდან) სამხრეთ კალთებზე. აქ არის შესანიშნავი კარსტული გამოქვაბულები, რომლებიც მრავალ ტურისტს ეზიდავენ.

ქალაქი წარმოადგენს ყველაზე დიდ და კეთილმოწყობილ ნავსადგურს ბალეარის კუნძულებზე, აგრეთვე მნიშვნელოვან სარკინიგზო კვანძს. ქალაქს აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის აეროპორტი. მოსახლეობის რაოდენობა 180 ათას აღწევს. ოფიციალური ენაა ესპანური.

## სან-ხუანი




სან-ხუანი (დაარსდა XVI საუკუნეში) მდებარეობს ცენტრალურ ამერიკაში და წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების სამფლობელოს პუერტო-რიკოს ადმინისტრაციულ ცენტრსა და მთავარ ნავსადგურს. ქალაქი განლაგებულია კუნძულ პუერტო-რიკოს ჩრდილოეთ სანაპიროზე, უფრო ზუსტად მის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულზე, რომელიც ცნობილია „ძველი ქალაქის“ სახელწოდებით და დიდი ხიდით შეერთებულია კუნძულთან. მოსახლეობის რაოდენობა 900 ათასი კაცია. სან-ხუანი მნიშვნელოვანი საკვანძო და ტვირთის გამანაწილებელი პუნქტია მთელ ვესტ-ინდოეთში.

ქალაქის კლიმატი ტროპიკული, პასატური ტიპისაა. საშუალო თვიური ტემპერატურა 24-28 გრადუსს აღწევს, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1400-დან 2500 მმ-დეა, ზამთრობით იცის გვალვა.

მნიშვნელოვანი საწარმოებია თამბაქოს (ცნობილი სიგარეტი „ხუანი“), შაქრის, ხილის წვენების, რომის ჩამოსასხმელი ქარხნები. ქალაქი ძირითადად სპეციალიზებულია შაქრისა და ლერწმის დამზადებასა და გატანაზე უმთავრესად ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ქალაქში არის უნივერსიტეტი, კომერციული და ვესტ-ინდოეთის უცხო ენების კოლეჯი, იეზუიტთა უმაღლესი სასწავლებელი. ოფიციალური ენაა ინგლისური და ესპანური. შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა ტურიზმი.

## ოგასტა

ოგასტა მდებარეობს ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთით, ჯორჯიას შტატში, მდინარე სავანაზე, რომელიც ჯორჯიისა და სამხრეთ კაროლინის შტატების საზღვარზე მიედინება, ოგასტასთან იწყება ნაოსნობა, ამიტომ ქალაქი მნიშვნელოვანი სამდინარო ნავსადგურიც არის.

მოსახლეობის რაოდენობა 100 ათასი კაცია, დაახლოებით ერთ მესამედს შეადგენენ ზანგები, არიან აგრეთვე მექსიკელები, მცირე რაოდენობით ჩინელები.

ქალაქის კლიმატი სუბტროპიკულია. იცის თბილი ზამთარი და საკმაოდ ცხელი ზაფხული. ნალექების რაოდენობა 1000 მმ აღწევს. ქალაქს გარს აკრავს ნაძვისა და მუხის ტყე-პარკი.

ოგასტა მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი და სამრეწველო ცენტრია. იგი განსაკუთრებით ცნობილია როგორც ბამბის მრეწველობის დიდი ცენტრი.

ქალაქი ცნობილია როგორც ზამთრის კურორტი. ოგასტაში არის დიდი საჭადრაკო სასახლე, სადაც ხშირად იმართება საჭადრაკო ტურნირები.

**მოსკოვი.** კარპოვ-პოლუგაევსკის მატჩის მეექვსე პარტია კვირას არ გამართულა პოლუგაევსკის ავადმყოფობის გამო. იგი დღეისათვის გადმოიტანეს.

გამოჩენილმა დანიელმა გროსმაისტერმა ლარსენმა აზრი გამოთქვა ამ მატჩის შესახებ:

„კარპოვ-პოლუგაევსკის მატჩში მე ფავორიტად ახალგაზრდა გროსმაისტერს ვთვლი, ყაიმები სტარტზე მხოლოდ მას აძლევენ ხელს (ეს სიტყვები ნათქვამია ჯერ კიდევ კარპოვის პირველ გამარჯვებამდე). იგი უნდა შეეჩვიოს მეტოქეს, რომელსაც ადრე საჭადრაკო დაფასთან იშვიათად ხვდებოდა. კარპოვის სტილი და საჭადრაკო შეხედულებები ისეთია, რომ მას ყაიმები ხასიათს არ უფუჭებს. ისე ჩანს; რომ მას ყოველთვის შეუძლია ყაიმის გაკეთება, როცა მოისურვებს.

მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ კარპოვი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა უკანასკნელ, მეხუთე პარტიაში, მაგრამ პოლუგაევსკი მეტისმეტად ნერვიულობდა და პარტიის დასკვნითი ნაწილი სუსტად წარმართა. ეტყობა, სწორედ ამიტომ — ძალების მოსაკრებად და დასამშვიდებლად — აიღო მან „ტაიმ-აუტი“.

**პალმა-დე-მალიორკა.** პეტროსიან-პორტიშის ოთხი რიგითი ყაიმის შემდეგ გროსმაისტერი კოტოვი წერდა, რომ „პეტროსიანი გადაეჩეინა პორტიშთან წაგებებს“. ლარსენმა კი შემდეგი გადაწყვიტა „კომსომოლსკაია პრავდას“ კორესპონდენტს: „ინტუიცია მეკარნახებს, რომ პორტიშს წარმატების მიღწევის რამდენადმე უკეთესი შესაძლებლობები აქვს, თუმცა ბევრი რამ იმაზეა დამოკიდებული, ვინ მოიგებს პირველ პარტიას. საერთოდ კი მე მომაჩნია, რომ პეტროსიან-პორტიშის მატჩში წყდება ფიშერის მომავალი მეტოქის საკითხი. მას კონკურენცია შეიძლება მხოლოდ სასაკმაოდ გაუწიოს, ეს კი ნთელი მაინც გახდება, როდესაც იგი უფრო ღირსეულ წინააღმდეგობას შეხვდება. ასე რომ მოვიცადოთ ნახევარფინალურ მატჩებამდე“.

ახლა, ეტყობა, პროგნოზებში ბევრი რამ გადაისინჯება. მეხუთე პარტია, რომელშიც პეტროსიანი თეორიებით თამაშობდა, მისი გამარჯვებით დამთავრდა.

პეტროსიანი ამ შეხვედრაში დიდი თანმიმდევრობით მოქმედებდა, მან უკეთესი პოზიცია მიიღო, შემდეგში ეფექტურად თამაშობდა და 35-ე სვლაზე მოიგო. ანგარიში გახდა 1:0 მსოფლიოს ექს-ჩემპიონის სასარგებლოდ.

მორიგი, მეექვსე პარტია, რომელშიც თეორიებით უნგრელი გროსმაისტერი თამაშობს, დღეს ვაიმართება.

**ოგასტა.** კორჩნოი-მეკინგის მატჩის მეექვსე პარტია უკვე მე-13 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. თეორიებით თამაშობდა ბრაზილიელი გროსმაისტერი.

სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ მიმომხილველ მარჩევს მიაჩნია, რომ ამ მატჩს უდავოდ კორჩნოი მოიგებს. ლარსენმა იმავე ინტერვიუში განაცხადა: „კორჩნოი-მეკინგის მატჩის დაწყებამდე მე უპირატესობას საბჭოთა გროსმაისტერს ვანიჭებდი. ახლაც იმავე აზრისა ვარ. უბრალოდ — არა მჯერა, რომ ასეთი მოკლე დროის მანძილზე მეკინგი კლასით კორჩნოის გაუტოლდეს. მაგრამ კორჩნოის თამაში დიდად არის დამოკიდებული მის განწყობილებაზე. კორჩნოის მთავარი მტერი ციაიტნოტია. მის ასაკსა და ნერვიულ-ჩემპიონის სასარგებლოდ.

მორიგი, მეექვსე პარტია, რომელშიც თეორიებით უნგრელი გროსმაისტერი თამაშობს, დღეს ვაიმართება.

**ოგასტა.** კორჩნოი-მეკინგის მატჩის მეექვსე პარტია უკვე მე-13 სვლაზე ყაიმით დამთავრდა. თეორიებით თამაშობდა ბრაზილიელი გროსმაისტერი.

სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ მიმომხილველ მარჩევს მიაჩნია, რომ ამ მატჩს უდავოდ კორჩნოი მოიგებს. ლარსენმა იმავე ინტერვიუში განაცხადა: „კორჩნოი-მეკინგის მატჩის დაწყებამდე მე უპირატესობას საბჭოთა გროსმაისტერს ვანიჭებდი. ახლაც იმავე აზრისა ვარ. უბრალოდ — არა მჯერა, რომ ასეთი მოკლე დროის მანძილზე მეკინგი კლასით კორჩნოის გაუტოლდეს. მაგრამ კორჩნოის თამაში დიდად არის დამოკიდებული მის განწყობილებაზე. კორჩნოის მთავარი მტერი ციაიტნოტია. მის ასაკსა და ნერვიულ სპარტაკიადის სასარგებლოდ.

## პრეტენდენტთა მატჩებზე

# პეტროსიანი-პორტიში — 1:0

## როგორ ემზადებით სპარტაკიადისათვის?

# ეს დღეები ბაკურიანში

**● ბაკურიანი ემზადება, ბაკურიანი მშვენდება ● რატომ ამოიღეს ციგაობა საქართველოს სპარტაკიადის პროგრამიდან? ● ნაკლოვანებები ბევრია, გმართებს ზომების მიღება ● პროგნოზები, პერსპექტივები**

**ბ**ოთხელამურმებს უსმობს ბაკურიანი, ხალხმრავალი, სპარტაკიადის ბაკურიანი!

აღტაცებაში მოყავხართ ბორჯომის ხეობის ამ მარგალიტს, მის შემოგარენს, წიწვოვანთა სნარ ტყეს, უბადლო ჰავას.

აქ მზეც სხვაგვარად აფრქვევს სხივებს და ზამთარ-საფუნულაც სხვაგვარად აღიქვამთ.

მართლაც რომ სულ სხვაა ბაკურიანი ზამთარში, თვალს ვერ აშორებთ თეთრ სამოსელში გახვეულ მიდამოს, შევერცხლილ კოხტაგორას, ქაფქაფა თოვლზე დაგებულ „თეთრ ლიანდაგებს“.

სტუმრებს აბა რა გამოლევს ბაკურიანში, წლევანდელი სეზონი ხომ მეტად პასუხსაგები. სწორედ აქ, ბაკურიანში ვიქნებით უმაღლესი დონის ასპარეზობათა მოწმენი.

დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს— მსოფლიო ჩემპიონატის წინ ძალთა მოსინჯვას, სსრ კავშირის თასის გათამაშებებს, სპარტაკიადის ფინალებს... როგორც ვხედავთ არჩევანი ბაკურიანზე შემთხვევითი არ არის. ეს კი ცხადყოფს ჩვენი „თეთრი მარგალიტის“ კიდევ ერთ აღიარებას.

მსოფლიო ჩემპიონატების ალაბს რბოლებსა და ორჭიდში, ტრამპლინიდან ხტომასა და სამთო-სათხილამურო სპორტში შევიცავს და შეიცარიაში, კერძოდ ფალუნსა და სანკტმორიცში აღმართავენ თებერვალში. სხვებთან ერთად უძლიერესთა ამ ფორუმის წინ ძალებს იკრებენ და ოსტატობას სრულყოფენ საბჭოთა ფავორიტები.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული მოთხილამურეთა მომზადების დონეზე, სპორტულ ფორმაზე, ეს კი უშუალო კავშირშია ბაზებთან, სპორტულ ნაგებობებთან, რომლებიც უნდა შეესაბამებოდნენ თანამედროვე მოთხოვნებს. ამ მხრივ ბაკურიანმა არაერთხელ ჩააბარა გამოცდები, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დღესაც აქ ყველაფერი რიგზე იყოს და დამშვიდებით შევყურებდეთ მოვლენებს.

ბრესის ფურცლებზე ცოტა კრიტიკული შენიშვნები როდი გამოქვეყნდა ბაკურიანზე. პირველ რიგში ეს ეხებოდა მმენებლებს, რომლებმაც უმოწყალოდ დაარღვიეს გრაფიკი. ყოველივე ამას არ შეიძლება გარკვეული კვალი არ დაეჩინა წვრთნაზე, სპორტსმენთა მომზადებაზე. მას შემდეგ საკმაო დრომ განვლო, ბევრი რამ გამოსწორდა, მაგრამ გასაკეთებელიც ხომ ბევრი დარჩა. მართალია, დღეს არავის ეკარება ეჭვი იმაში, რომ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის გახსნის ღღისათვის ბაკურიანში ყველაფერი რიგზე იქნება, მაგრამ რატომ ავიწყდებათ, რომ ეს საქმის ერთი მხარეა, ხოლო მეორე და არანაკლებად მნიშვნელოვანი მხარეა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების მომზადების დონე.

მაგალითად, ვერ იქნა და ვერ მოგვარდა საციგაო ტრასის მომზადება. საქმე იქამდისაც კი მივიდა, რომ რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამიდან ციგაობა ამოიღეს. ეს მართლაც რომ კურიოზია. რა აფერხებს ტრასის გაყინვას? — შლანგები და მფრქვეველები.

აქ განათების საქმეც მოუგვარებელია და არც მსაჯთა კოლეგიის შენობის მოწესრიგებას დაადგა საქმე.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის ნაექსპლოატაციაოდ გადაცემული მიტარბი-კოსტაგორა მეორის საბაგირო გზა. სწრაფდაშვების ტრასის მოწყობას აფერხებს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტიდან სატკეპნი მანქანების მიუღებლობა. კოხტა პირველსა და კოხტა მეორეზე არ დაუმთავრებიათ სპორტსმენთა დასასვენებელი ქოხების აგება და კეთილმოწყობა, 70-მეტრიანი ტრამპლინისათვის არ გააჩინათ სატკეპნი.

საზრუნავი მართლაც რომ ბევრია. რაც უფრო ადრე მოვაგვარებთ ამას, მით უფრო წინ წავწევთ საქმეს და ამით ხელს შევუწყობთ სპორტსმენთა საუკეთესოდ მომზადებას, მაღალი სპორტული მაჩვენებლებისათვის ბრძოლას.

ახალ სეზონში არა ერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობის მოწმენი ვიყავით — უკვე დამთავრდა თბილისის სპარტაკიადა, მოიწყო სხვადასხვა სპორტულ საზოგადოებათა ცენტრალური საბჭოების ჩემპიონატები, ბაკურიანის თასის გათამაშება რბოლებში. აქ სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ ჩვენი ქვეყნის ნაკრების წევრები, ამიტომ არაფერია იმაში გასაკვირველი, რომ წარმატებაც სწორედ მათ ხვდათ.

მაგალითად, 5 კილომეტრზე რბოლაში ქალთათვის, როგორც მოსალოდნელი იყო, ბადალი არ ჰყავდა მსოფლიოს ჩემპიონს გ. კულაკოვას. ეაქეთა შორისაც 15 კილომეტრზე რბოლაში წარმატება ნაკრების კანდიდატს ი. სკობოვს ხვდა. მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშების ეტაპი სამთო-სათხილამურო სპორტში გაზეთ „ლელოს“ პრიზზე. შაბათს დამთავრდა შეხვედრები გიგანტურ სლალომში. ორი ცდის ჯამით უძლიერესის ტიტული დაიმსახურა მოსკოველმა სპორტის ოსტატმა, ხაჭოთა კავშირის ექს-ჩემპიონმა ა. ტორმუსინმა— 2.48,35. ბაკურიანელი ა. სტეპანიანი მეოთხე იყო. ქალთა შორის (ერთი ცდა) პირველობა არავის დაუთმო ნ. შულკოვამ (ბელორუსეკი 1.33,96). ბაკურიანელი თ. კოხანაშვილი მესამე ადგილზე გამოვიდა.

გუშინ სტარტი აიღო საკავშირო თასის გათამაშებამ რბოლებსა და ორჭიდში. ეს შეჯიბრება გამოავლენს უძლიერესებს. ამის შემდეგ კი სსრ კავშირის ნაკრები მსოფლიო პირველობაზე შვეიცისაკენ აიღებს კურსს. და ბოლოს 30 იანვარს ბაკურიანში საზეიმოდ გაიხსნება საქართველოს ზამთრის სპარტაკიადა.

წილად გვხვდა დიდი პატივი — საბჭოთა სპორტის ისეთი დიდი მოვლენა, როგორიც სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაა, საქართველოში, კერძოდ ბაკურიანში გაიმართება. სპარტაკიადები ყოველთვის იყო და არის საბჭოთა სპორტის მიღწევათა მკაფიო დემონსტრაცია, მასობრიობისა და მაღალი ოსტატობისათვის ბრძოლის მაგალითი. გვჯერა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები სახალხეოდ გაარმეგენ თავს იმ პასუხსაგებ ამოცანებს, რომლებიც მათ წინაშე დგას სპარტაკიადის სანიმუშო მოწყობისა და ჩინებული ორგანიზაციის საქმეში.

**ვ. გაგელია,**
**კომუნისტის“ სპეც. კორ.**
**ბაკურიანი.**

**ხურათზე: გიგანტურ სლალომში, გაზეთ „ლელოს“ პრიზის გათამაშებაში გამარჯვებული ა. ტორმუსინი (მოსკოვი, „ბურევესტნიკი“).**

# რამდენიმე სტრიქონით

□ **კალათბურთი.** ბრაზილიური ტურნეს უკანასკნელი მატჩი საბჭოთა ნაკრებმა გამარჯვებით დაამთავრა ქალაქ ნიტეროიში. 81:80 — ასეთია ამ დაძაბული მატჩის შედეგი.

ამრიგად, ექვსი თამაშიდან საბჭოთა კალათბურთელებმა ორი მოიგეს, ოთხ შეხვედრაში კი გამარჯვება მასპინძლებს ერგოთ.

□ **ჭოკი.** არხანგელსკში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი ბურთიან ჭოკეიში გაზეთ „სოვეტსკაია როსიას“ პრიზზე. პირველი მატჩი მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა საბჭოთა ნაკრებმა მოუგო ნორვეგიის გუნდს დამაჯერებელი ანგარიშით 5:0. შეედებმა დაამარცხეს ფინელები — 4:3. კვირას მოსდა ასპარეზობის ხენსაცია — საბჭოთა ნაკრები დამარცხდა ფინელ ჭოკეისტებთან — 2:3. ამავე დღეს შვედებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს, ამჯერად ნორვეგიელებთან — 3:1 და ლიდერობენ ტურნირს.

□ **ჭიდაობა.** თბილისის ფალავანთა კლუბში დამთავრდა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, რუსთავის, სამტრედიის, მახარაძის და სხვა ქალაქების 170 ფალავანი მონაწილეობდა.

წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს ჩემპიონები გახდნენ: ნ. მამიაშვილი (რუსთავი), თ. ხატიაშვილი (თბილისი), ნ. შალამბერიძე (ქუთაისი), ა. ქართველიშვილი (ქუთაისი), რ. ინასარიძე (თბილისი), ტ. ფსუტური (თბილისი), ტ. ხარაიშვილი (რუსთავი), ბ. ხმელიძე (მახარაძე), მ. კუხიანიძე (სოხუმი), ტ. ვეფხვაძე (თბილისი), დ. ყიფიანი (ჭიათურა). მსაჯთა კოლეგიამ ჭიდაობის საუკეთესო ტექნიკისათვის სიგელებით დაჯილდოდა რ. ინასარიძე (თბილისი), ი. ზურაბიანი (მახარაძე) და ქუთაისელი ნ. შალამბერიძე. საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისის ნაკრები. მეორე ადგილზეა ქუთაისის, მესამეზე მახარაძის ნაკრები.


**რედაქტორი**
**დ. მგელიშვილი.**



საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო და საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 64 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა კოლეგიის წევრი, სამინისტროს კადრების განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის ღვაწლმოსილი მუშაკი

**ვალერიან კალისტრატეს-ძე ბადაჯკორია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო და მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველო „საქფრინველმრეწვი“ ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე და ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 53 წლის ასაკში გარდაიცვალა „საქფრინველმრეწვის“ სამმართველოს უფროსის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი

**გიორგი ვიხეელის-ძე გურამიშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


# ვიდრე საქმე დანაშაულამდე მივიდოდეს

**ცეკავშირის** ვანის საწარმოო კომბინატი ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ობიექტია რაიონში. შარშან ამ საწარმომ 3 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია გამოუშვა. შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, კომბინატის დირექციას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს საჭირო სიფხიზლე და მეტი ძასუხისმგებლობა რომ გამოეჩინათ.

1973 წლის მაისსა და აგვისტოში საქართველოს კპ ვანის რაიკომის ბიუროომ საგანგებოდ იმსჯელა საწარმოო კომბინატში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის, შრომის დისციპლინისა და კადრების შერჩევის საკითხებზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ — 1973 წლის დეკემბერში, ამჯერად უკვე ადრე მიღებული დადგენილებათა შესრულების შემოწმების წესით, რაიკომის ბიუროს სხდომაზე კვლავ დაისვა საკითხი კომბინატში შექმნილი არანორმალური ვითარების გამო.

აღინიშნა, რომ საწარმოს დირექციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა საჭირო დასკვნები არ გამოიტანეს რაიკომის ბიუროს მიერ ადრე მიღებული დადგენილებებიდან და თითქმის სრულებით არაფერი გაუკეთებიათ მის შესასრულებლად. ისინი კვლავ სუსტად ხელმძღვანელობენ სოციალისტურ შეჯიბრებას, მუშათა დიდი ნაწილი ვერ ერკვევა შეჯიბრების არსსა და მნიშვნელობაში.

შეუწყნარებელი დარღვევებია კადრების შერჩევისა და განაწილების საქმეში. საწარმოში ინჟინრად შრომის დარგში მუშაობს აგრონომი, ხოლო ინჟინერ-მეთოდისტად პედაგოგი. საამქროს 6 უფროსიდან უმაღლესი განათლებით არის მხოლოდ 2, მაშინ, როდესაც უმაღლესი სპეციალური განათლების მქონე გ. დიასამიძე რიგითი ოსტატია.

კომბინატში მოდუნებული და უგულებელყოფილია კონტროლისა და ურთიერთმოთხოვნელობის პრინციპი, რაც გამოწვეულია იმით, რომ აქ კადრებს არც თუ იშვიათად ნათესაური ნიშნის მიხედვით არჩევენ. მთავარი ბუღალტრის გ. აბრამიძის ოჯახის ოთხი წევრი ადმინისტრაციულ აპარატში მუშაობს, ხოლო სიძე ვ. კალანდაძე საგალანტერეო საამქროს მუშად ითვლება, ამავე დროს ეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მძღოლია. დირექტორის რ. გუგუციძის ქონების დამტაცებელთა ერთი ჯგუფი. 16 იანვარს შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკებმა დამნაშავეებს სწორედ იმ მომენტში წასწყრეს, რაცა ისინი მორიგ ოპერაციას ატარებდნენ. ეს დანაშაულებრივი ოპერაცია არც თუ მაინცდამაინც რთული იყო. კომბინატის მომარაგებელ-გასაღების უფროსმა ეუდა თეთროჭალაშვილმა, რომელიც ჯერ კიდევ მუშაობდა ამ თანამდებობაზე, არსებინად ჩაგვირთა 900 მეტრი ბალღასანის ნარევი ქსოვილი (13.820 მსუბუქ ავტომანქანაში, რომელსაც რეზო ორმოცაძე მართავდა, დაუბრკოლებლად გამოიტანა საწარმოს ტერიტორიიდან და ვანის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორს მიხელ თეთროჭალაშვილს ჩაბარა, რომელმაც თავის მხრივ დატაცებული საქონლით დატვირთული მანქანა ვიდრე მაღაზიაში შეიტანდა, მეტი სიფრთხილისათვის ჯერ საკუთარ გარაჟში დააყენა.

იმავე დღეს დალუქულ და აღწერილ იქნა კომბინატის საწყობი და საამქროები, აგრეთვე უნივერმაღი, სადაც აღმოჩნდა ასობით მეტრი უფასტური ქსოვილი.

როგორც წინასწარი გამოძიების მასალებიდან ირკვევა, ცეკავშირის ვანის საწარმოო კომბინატში მოკალათებული საქმოსნები დანაშაულებრივად იყენებენ დაკავშირებული ცენტრალური უნივერმაღის დირექტორთან და სხვა პასუხისმგებელ პირებთან, სისტემატურად გამოაქონდათ კომბინატიდან ქსოვილები და ხავაგრო ქსელში ასაღებდნენ. ქსოვილებს საწარმოდან იპარავდნენ იმ ეკონომიის სარჯზე, რასაც საგამომჭრელო საამქროში სწევდნენ გამოჭრისას თარგების საგანგებო განლაგებით. ამ დანაშაულში ეუდა თეთროჭალაშვილის, მიხეილ თეთროჭალაშვილისა და რეზო ორმოცაძის გარდა გარეული აღმოჩნდნენ ზაურ ეფრემიძე — საწარმოო კომბინატის საგამომჭრელო საამქროს უფროსი, რაფიელ პაპიაშვილი — მოსამზადებელი საამქროს უფროსი, მორდეს პაპიაშვილი — უნივერმაღის ქსოვილების სექციის გამგე.

ეს მძიმე დანაშაული არ მოხდებოდა, ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს თავიდანვე მეტი საფხიზლე და კონტროლი, მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა რომ გამოეჩინათ, უფრო მეტად ეზრუნათ საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

„კომუნისტის“ სპ. კორ.

### ამ საკითხზე პარტიის რაიკომმა იმსჯელა

□

მამიდა ქ. გუგუციძე კომბინატის პროფკავშირის დადგენილებები თავმჯდომარე და საგამომჭრელო საამქროს ოსტატ-ბრიგადირ ბ. ბაბუციას შეეხო. ბ. ბაბუციას ბრიგ